

## საქართველო

### 2008 წლის საკვანძო მონაცემები

ნაღმების აკრძალვის შესახებ შეთანხმების სტატუსი	არა წევრი ქვეყანა
დაბინძურება	რუსეთთან 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად გაფანტული ნაღმებითა და აუფეთქებელი ქურვებით მნიშვნელოვანი დაბინძურება
დადგენილი დაბინძურების მიდამო	დაუდგენელი
მსხვერპლი 2008 წელს	35 (2007: დაუდგენელი)
ნაღმებისა და ომის ფეთქებადი ნარჩენებისგან დაშავებულთა რიცხვი	დაუდგენელი, მაგრამ, სულ მცირე, 591
განაღმვა 2008 წელს	ბრძოლის ველის გაწმენდა: სულ მცირე, 7.89კმ <sup>2</sup>
რისკის შესახებ განათლების რეციპიენტები 2008 წელს	44,000
განაღმვის მხარდაჭერა 2008 წელს	\$8,705,885

### ათწლიანი შეჯამება

საქართველოს არ მიუღია შეთანხმება ნაღმების აკრძალვის შესახებ, მიუხედავად ამისა, გამოხატავს მის მხარდაჭერას და ემხრობა შეთანხმების განზოგადებისკენ მოწოდებულ გაეროს გენერალური ასამბლეის ყოველწლიურ რეზოლუციას. 1996 წლის სექტემბრიდან საქართველოს აქვს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენების ოფიციალური მორატორიუმი. თუმცა, როგორც ჩანს, საქართველოს შეიარაღებული ძალები ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს იყენებდნენ 2001–2004 და 2006 წლებში ზემო კოდორის ხეობაში.

საქართველო კვლავაც დაბინძურებულია ნაღმებითა და ომის ფეთქებადი ნარჩენებით, მათ შორის, კასეტური იარაღის ნარჩენებით. დაბინძურება, პირველ რიგში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებთან დაკავშირებული კონფლიქტების შედეგია. მათ შორის, უახლესია 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტი. ასევე, საფრთხეს ქმნის რუსეთის მიერ საქართველოსთვის გადაცემული ყოფილი საბჭოთა სამხედრო ბაზების გარშემო დანადგური ველები. 2009 წელს საერთაშორისო მხარდაჭერით დაარსდა განაღმვის ეროვნული პროგრამა.

ნაღმებისა და ომის ფეთქებადი ნარჩენების მოქმედების შედეგად დაშავებულთა რიცხვი შემცირდა 100–დან (1999) 35–მდე (2008). თუმცა, რადგან საქართველოს არ გააჩნია დაზარალებულთა მონაცემების შეგროვების სრულყოფილი სისტემა, მათი რაოდენობა აღირიცხება მასმედიის წყაროების მიხედვით, რაც შესაძლოა არასანდო იყოს. საგანგებო მდგომარეობის რისკის

შესახებ საგანმანათლებლო აქციები ტარდება 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ; მანამდე ამ მიმართულებით ქმედებები მწირი იყო. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (International Committee of the Red Cross, ICRC) მიერ დაგეგმილი საპროთეზოს გადაცემა ადგილობრივ მფლობელობაში შეფერხდა არასაკმარისი შემოსავლისა და დაგვიანებული სახელმწიფო დაფინანსების გამო. სასწრაფო სამედიცინო დახმარების, ფსიქოლოგიური მხარდაჭერის, სოციალური ან ეკონომიკური რეინტეგრაციისა ან კანონმდებლობის მხრივ, არ აღინიშნებოდა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. თუმცა, შემუშავებული იყო დადებითი საზოგადოებრივი კურსი შეზღუდული შესაძლებლობების პირთა, მათ შორის, ნაღმით დაშავებულთა მიმართ. შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის ჯანდაცვისა და სხვა მომსახურების უმეტესობა უზრუნველყოფილი იყო სახელმწიფოს მიერ, მაგრამ არაადეკვატურად. დაზარალებულთათვის გარკვეული დახმარება გასწიეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

### **ნაღმების აკრძალვის რეგულირება**

საქართველოს არ მიუღია შეთანხმება ნაღმების აკრძალვის შესახებ. 2007 წლის აპრილიდან საქართველოს არ გაუკეთებია საყურადღებო საჯარო განცხადება ნაღმების გამოყენების რეგულირებასთან დაკავშირებით, თუმცა მონაწილეობას იღებდა ნაღმების აკრძალვის შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებულ შეხვედრებზე, მათ შორის, წევრი ქვეყნების მეცხრე შეხვედრაზე ჟენევაში, 2008 წლის ნოემბერს და მუდმივი კომიტეტის ინტერსესიულ შეხვედრაზე, 2009 წლის მაისში.

წლების განმავლობაში საქართველო ზოგად მხარდაჭერას უცხადებდა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვას. იგი 1997 წლიდან ემხრობა ნაღმების აკრძალვის შესახებ შეთანხმების განზოგადებისკენ მიმართულ გაეროს გენერალური ასამბლეის ყოველწლიურ რეზოლუციას, 2008 წლის 2 დეკემბრის 63/42 რეზოლუციის ჩათვლით. 2007 წლის აპრილში საქართველომ განაცხადა: "საქართველოსთვის ნათელია, რომ დანაღმის უარყოფითი ზეგავლენა მნიშვნელოვნად აჭარბებს მის სამხედრო ფასეულობას, და ცდილობს, თავისი წვლილი შეიტანოს ამ საშიშროების ელიმინაციისა და განადგურების პროცესში... საქართველო სრულად იზიარებს ოტავას კონვენციის პრინციპებს, მიზნებს და საერთაშორისო საზოგადოების შემოფოთებას ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებთან დაკავშირებით."<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> გიორგი დოლიძის განცხადება, საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის განყოფილების უფროსის მოადგილე, კონვენციის ზოგადი სტატუსისა და მოქმედების მუდმივი კომიტეტის სხდომა, ჟენევა, 23 აპრილი, 2007.

ამავე დროს, საქართველო მუდმივად აფიქსირებს TavSekavebas ნაღმების აკრძალვის შესახებ შეთანხმების მიღებისგან, რამეთუ ვერ შეძლებს დაკისრებული ვალდებულების შესრულებას მთავრობის მიერ არაკონტროლირებად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სადავო ტერიტორიებზე.<sup>2</sup> შეთანხმებაზე თავის შეკავების ეს მიზეზი საქართველოს ოფიციალურმა პირებმა გაიმეორეს 2008 წლის სექტემბერში ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის (International Campaign to Ban Landmines, ICBL) შეხვედრაზე და ლენდმინ მონიტორთან კომუნიკაციებისას.<sup>3</sup>

საქართველო კონვენციური იარაღის შესახებ შეთანხმების წევრია. ის 2009 წლის 8 ივნისს შეუერთდა II შესწორებულ პროტოკოლს ნაღმების შესახებ, ხოლო 2008 წლის 22 დეკემბერს V პროტოკოლს ომის ფეთქებადი ნარჩენების შესახებ.<sup>4</sup> მანამდე იგი, იმავე მიზეზით, უარს ამბობდა II შესწორებული პროტოკოლის მიღებაზე.<sup>5</sup>

საქართველოს ხელი არ მოუწერია კასეტური იარაღის შესახებ კონვენციაზე.<sup>6</sup>

### **გამოყენება**

1996 წლის სექტემბრიდან საქართველოს აქვს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენების ოფიციალური მორატორიუმი.<sup>7</sup> 2007 წლის აპრილში

---

<sup>2</sup> მაგალითად, 2006 წლის სექტემბერში საქართველოს მხრიდან წევრი ქვეყნებისათვის ცნობილი გახდა, რომ: "წლების განმავლობაში ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან კონვენციაზე თავის შეკავების ერთ-ერთი პრინციპული მიზეზი იყო და არის არაკონტროლირებადი ტერიტორიების არსებობა და აქედან გამომდინარე, შეთანხმებაში აღნიშნული ვალდებულების შესრულების უუნარობა. თუმცა... ზემოთ აღნიშნული პოზიციის გადახედვის შესაძლებლობაზე დისკუსიები დაწყებულია," – საქართველოს განაცხადი, წევრი ქვეყნების მეშვიდე შეხვედრა, ჟენევა, 21 სექტემბერი, 2006.

<sup>3</sup> გაეროში ICBL-ის საქართველოს მუდმივ მისიასთან შეხვედრის შიდა მოხსენება, ჟენევა, 23 სექტემბერი, 2008; გიორგი დოლიძის ელ გზავნილი, საგარეო საქმეთა სამინისტრო, 31 მარტი, 2009; და ქართლოს ყორანაშვილის ელ გზავნილი, თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის განყოფილების სამმართველოს უფროსის მოადგილე, 23 მარტი, 2009.

<sup>4</sup> თითოეული პროტოკოლი ძალაში შედის საქართველოს მიერ თანხმობის ფორმალურად განცხადებიდან ექვსი თვის შემდეგ.

<sup>5</sup> გიორგი დოლიძის განცხადება, საგარეო საქმეთა სამინისტრო, კონვენციის ზოგადი სტატუსისა და მოქმედების მუდმივი კომიტეტის სხდომა, ჟენევა, 23 აპრილი, 2007.

<sup>6</sup> კასეტური იარაღის მართვისა და გამოყენების დეტალებისთვის იხილეთ Human Rights Watch (HRW) და Landmine Action, *Banning Cluster Munitions: Government Policy and Practice (კასეტური იარაღის აკრძალვა: სახელმწიფო მართვა და გამოყენება)*, Mines Action Canada, მაისი, 2009, გვ. 205–207.

<sup>7</sup> მორატორიუმი გამოაცხადა 1996 წლის სექტემბერში პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძემ გაეროში და მას შემდეგ, მრავალჯერ დაადასტურეს ოფიციალურმა პირებმა. იხილეთ

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განუცხადა წევრ ქვეყნებს: "მას შემდეგ [1996] საქართველოს შესაბამისი ოფიციალური სტრუქტურები მკაცრად იკავებენ თავს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენებისგან. მე შესაძლებლობა მაქვს, დავადასტურო ჩემი ქვეყნის მტკიცე გადაწყვეტილება, შეინარჩუნოს ეს ვალდებულება მომავალშიც."<sup>8</sup>

საქართველოს მიერ წარსულში ნაღმების გამოყენების უარყოფის მიუხედავად, ვლინდება, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს იყენებდნენ 2001–2004 წლებში, ისევე როგორც, 2006 წელს (იხილეთ ქვემოთ).<sup>9</sup> ოპოზიციური ძალები და რუსეთის სამშვიდობოები, ასევე, ბრალს სდებენ საქართველოს ჯარებს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის დანაღმვაში 2006 და 2007 წლებში. ლენდმაინ მონიტორმა ვერ შეძლო ამ ბრალდების დამტკიცება.<sup>10</sup>

კეთდებოდა განცხადებები, რომ 2008 წლის აგვისტოს სამხრეთ ოსეთის ომში ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს იყენებდა, როგორც საქართველო, ასევე რუსეთიც.<sup>11</sup> ორივე მხარე უარყოფს მსგავსი განცხადებების ჭეშმარიტებას.<sup>12</sup>

---

*ლენდმაინ მონიტორი 1999*, გვ. 792; და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ვერბალური შენიშვნა (Organization for Security and Cooperation in Europe, OSCE), 17 იანვარი, 2001.

<sup>8</sup> გიორგი დოლიძის განცხადება, საგარეო საქმეთა სამინისტრო, კონვენციის ზოგადი სტატუსისა და მოქმედების მუდმივი კომიტეტის სხდომა, ჟენევა, 23 აპრილი, 2007. საქართველოს მანამდეც გაუკეთებია მსგავსი განცხადებები. იხილეთ საქართველოს განცხადებები, წევრი ქვეყნების მეშვიდე შეხვედრა, ჟენევა, 21 სექტემბერი, 2006; და *ლენდმაინ მონიტორის მოხსენება 2006*, გვ. 890. 2005 წლის მაისში თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების ოპერატიული გეგმა ნაღმების გამოყენებას არ მოიცავს. ICBL-ის შეხვედრა დავით სიხარულიძესთან, თავდაცვის მინისტრის მოადგილე, თბილისი, 25 მაისი, 2005.

<sup>9</sup> იხილეთ *ლენდმაინ მონიტორის მოხსენება 2005*, გვ. 706–707; და *ლენდმაინ მონიტორის მოხსენება 2004*, გვ. 968–969.

<sup>10</sup> იხილეთ *ლენდმაინ მონიტორის მოხსენება 2007*, გვ. 826–827. 2008 წლის ივნისში სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ საქართველო დაადანაშაულა დანაღმვაში, რომელმაც ცხინვალის შემოგარენში ბიჭის სიცოცხლე იმსხვერპლა. რაზეც საქართველოს ხელისუფლებამ უპასუხა, რომ ინციდენტში აღნიშნული ნაღმის ტიპი მის არსენალში არ მოიპოვება. "Separatists Accuse Georgia of Placing Mines in Conflict Zone" ("სეპარატისტები ბრალს სდებენ საქართველოს, კონფლიქტის ზონის დანაღმვაში"), *საქართველოს ტელეკომპანია მზე*, 15 ივნისი, 2008, georgiandaily.com.

<sup>11</sup> ორივე მხარის განცხადებები იხილეთ: politicalminefields.wordpress.com. საქართველომ ICBL-ს და სხვებს მიაწოდა დოკუმენტი სათაურით: "Bombed and Mined Areas During Russian Occupation (from August 7, 2008)" ("რუსეთის ოკუპაციის განმავლობაში დაბომბილი და დანაღმული მიდამოები (2008 წლის 7 აგვისტოდან)"), რომელიც დათარიღებულია 2008 წლის 26 აგვისტოთი და რომელიც ადანაშაულებს რუსეთს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენებაში სულ მცირე რვა ადგილას, 2008 წლის 7 აგვისტოდან 21 აგვისტომდე. იხილეთ, აგრეთვე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო: "RF delays in the withdrawal of its military



HRW-მა ჩაატარა მიწის ფართო გამოკვლევა საქართველოში 2008 წლის კონფლიქტის დროს და შემდეგ, მაგრამ ვერ დაადასტურა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენება. თუმცა, ორივე მხარე, იყენებდა კასეტურ იარაღს, რამაც მრავალი მოქალაქის დაშავება გამოიწვია.<sup>13</sup>

### *ზემო კოდორის ხეობა*

კოდორის ხეობა მდინარის მიმდებარე ვიწრო ველია ზემო აფხაზეთის ადმინისტრაციულ ოლქში, რომელიც ესაზღვრება აფხაზეთს, საქართველოს კონფლიქტურ რეგიონს. საქართველოს მოკავშირე პარამილიტარულმა შენაერთებმა 2006 წელს დაიკავეს ხეობის ჩრდილოეთ ნაწილი. 2006 წლის ივლისის შუა რიცხვებში, მას შემდეგ, რაც “ბოევიკების” ლიდერმა გამოაცხადა საქართველოსგან დამოუკიდებლობა, გაჩაღდა ახალი კონფლიქტი. საქართველოს უსაფრთხოების ძალები შეიჭრნენ ხეობაში და დაიკავეს მისი ჩრდილოეთი ნაწილი. იყო მოხსენებები და ბრალდებები, რომ ორივე მხარე, საქართველოს ჯარებიც და ბოევიკური შენაერთებიც იყენებდნენ ნაღმებს.<sup>14</sup>

თუ არ ჩავთვლით უშუალოდ კოდორის ხეობის ოპერაციას, საქართველომ 2006 წლის სექტემბრისა და 2007 წლის აპრილის განცხადებებში მოახსენა ნაღმების წინააღმდეგ შეთანხმების წევრ ქვეყნებს, რომ არ გამოუყენებია ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები 1996 წლიდან.

---

forces” (“რუსეთის ფედერაცია აყოვნებს სამხედრო შენაერთების გაყვანას”), 18 აგვისტო, 2008, georgiamfa.blogspot.com; “Russian Troops Remain, But with Lighter Presence” (“რუსეთის ჯარი რჩება, მაგრამ ნაკლები შემადგენლობით”), *ვოშინგტონ პოსტი*, 21 აგვისტო 2008, www.washingtonpost.com; და HRW-ის ინტერვიუ ბათუ ქუთელიასთან, თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, თბილისი, 22 აგვისტო, 2008.

<sup>12</sup> საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები არ იყენებდნენ ნაღმებს კონფლიქტის დროს. ქართლოს ყორანაშვილის ელ გზავნილი, თავდაცვის სამინისტრო, 23 მარტი, 2009. რუსეთის საგარეო სამინისტროს წარმომადგენელი წერს: “სამხრეთ ოსეთში საქართველოს აგრესიის მიუხედავად, რუსეთის ფედერაციას არ მიუმართავს კასეტური (კლასტერული) ბომბებისა ან ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენებისთვის”. ანდრეი კელინის წერილი, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (Commonwealth of Independent States, CIS) მეოთხე დეპარტამენტის დირექტორი, 30 იანვარი, 2009.

<sup>13</sup> HRW, “A Dying Practice: Use of Cluster Munitions by Russia and Georgia in August 2008” (“სიკვდილის პრაქტიკა: კასეტური იარაღის გამოყენება რუსეთისა და საქართველოს მიერ 2008 წლის აგვისტოში”), აპრილი, 2009, www.hrw.org.

<sup>14</sup> ამავედროულად, რუსეთის სამშვიდობოები ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დანაღმეს საქართველოს ახალი საკონტროლო გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორია, “გატეხილი ხიდის” ჩრდილოეთით, საქართველოსა და აფხაზეთის მიერ კონტროლირებად სექტორებს შორის გამყოფი პუნქტი. აფხაზეთის წარმომადგენლებმა დაადანაშაულეს საქართველოს ჯარები ხეობის ზედა ნაწილში გზებისა და ხიდების დანადგავში.

2008 წლის კონფლიქტის დროს ზემო კოდორის ხეობაში შეიჭრნენ აფხაზებისა და რუსების შეიარაღებული ძალები და იქიდან განდევნეს საქართველოს ჯარი. ბრიტანულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ HALO Trust–მა ლენდმინ მონიტორს დაუმოწმა, რომ, როცა მან 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ ზემო კოდორის ხეობაში შესვლის უფლება მოიპოვა, აღმოაჩინა, სავარაუდოდ, 2006 წელს დანადგმული ველები.<sup>15</sup>

### **წარმოება, გადაზიდვა და დაგროვება**

საქართველოს ოფიციალური პირები ამტკიცებენ, რომ საქართველოს 1991 წლიდან, დამოუკიდებლობის შემდეგ, არასოდეს უწარმოებია, ან ქვეყნის გარეთ გაუტანია, ან შემოუტანია ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები.<sup>16</sup> ვარაუდობენ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირისგან საქართველოს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების მცირე მარაგი დარჩა, თუმცა, ამ მარაგის ზუსტი შემადგენლობა და რაოდენობა უცნობია.<sup>17</sup> საქართველოს ოფიციალურ პირებს წარსულში აღუნიშნავთ, რომ მორატორიუმი გამოყენების შესახებ (იხილეთ ზემოთ), მოიცავს მათ წარმოებასა და გადაზიდვასაც.<sup>18</sup>

### *სამხრეთ ოსეთი*

სამხრეთ ოსეთი საქართველოს კონფლიქტური რეგიონია, რომელიც ესაზღვრება რუსეთს და მასთან მჭიდრო კავშირი გააჩნია.<sup>19</sup> სამხრეთ ოსეთის

<sup>15</sup> HALO–ს ელ გზავნილი, 7 აგვისტო, 2009, და 9 ივლისი, 2009.

<sup>16</sup> გიორგი დოლიძის განცხადება, საგარეო საქმეთა სამინისტრო, კონვენციის ზოგადი სტატუსისა და მოქმედების მუდმივი კომიტეტის სხდომა, ჟენევა, 23 აპრილი, 2007. საქართველოს ეს ბევრჯერ აქვს აღნიშნული.

<sup>17</sup> ICBL–ს შეხვედრა დავით სიხარულიძესთან, თავდაცვის სამინისტრო, თბილისი, 25 მაისი, 2005. 2007 წლის აგვისტოში საქართველომ განაცხადა, რომ მან ახალქალაქის ტერიტორიაზე მდებარე რუსეთის ყოფილი სამხედრო ბაზიდან ამოიღო ქვეითსაწინააღმდეგო და ტანკსაწინააღმდეგო ნაღმების დაფარული რაოდენობა. პაველ ბელოვი, “Russians Leave Cesium and Landmines Behind in Georgia” (“რუსებმა საქართველოში დატოვეს ცეზიუმი და ნაღმები”), *კომერსანტი*, 17 აგვისტო, 2007, [www.kommersant.com](http://www.kommersant.com).

<sup>18</sup> განუცხადა ICBL–ს დავით ნარდიამ, თავდაცვის სამინისტროს შიდა თანამშრომლობის განყოფილების ხელმძღვანელი, თბილისი, ოქტომბერი, 2006. მსგავსი განცხადება გაკეთდა საერთაშორისო სიმპოზიუმზეც “Regional Cooperation and Confidence Building through Mine Action” (“რეგიონალური თანამშრომლობა და ნდობის დამყარება განაღმვის მეშვეობით”), თბილისი, 4–6 ოქტომბერი, 2005.

<sup>19</sup> საბჭოთა ეპოქის განმავლობაში, სამხრეთ ოსეთი იყო საქართველოს სსრ–ის ავტონომიური რეგიონი. 1990 წლის შემოდგომაზე მან გამოაცხადა სრული სუვერენიტეტი სსრკ–ს ფარგლებში. საქართველოს მთავრობამ, ამის საპასუხოდ, აფხაზეთს 1990 წლის დეკემბერში გაუუქმა ავტონომიური სტატუსი, რასაც მოჰყვა შეიარაღებული კონფლიქტი 1991–1992 წლებში. კონფლიქტი გაამწვავა 1992 წელს სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობიდან *დეფაქტო* გამოყოფამ. 1992 წლის ივნისში რუსეთის შუამავლობით შეწყდა ცეცხლი, შეიქმნა გაერთიანებული მაკონტროლებელი კომისია და გაერთიანებული სამშვიდობო ძალები, ქართული, რუსული და ოსური შენაერთებით. დამაბულობა გაიზარდა 2004 წელს, მას შემდეგ, რაც საქართველომ პრიორიტეტად დაისახა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. იმატა

ხელმძღვანელობას რაიმე საჯარო განცხადება არ გაუკეთებია და არც რაიმე ცალსახა ნაბიჯი გადაუდგამს ნაღმების აკრძალვასთან დაკავშირებით. 2008 წლის კონფლიქტამდე ითვლებოდა, რომ სამხრეთ ოსეთს, ნაღმებთან დაკავშირებით, მხოლოდ უმნიშვნელო პრობლემები ჰქონდა. საქართველოსა და რუსეთს შორის სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული შეიარაღებული კონფლიქტი 2008 წლის აგვისტოში ერთი კვირა გაგრძელდა. როგორც უკვე აღინიშნა, არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომ რომელიმე მხარე კონფლიქტის დროს იყენებდა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს. თუმცა, ორივემ გამოიყენა კასეტური და მრავალი სხვა სახის იარაღი, რამაც გადაფარა სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს სხვა ნაწილებში ომის ფეთქებადი ნარჩენებით ფართოდ დაბინძურების პრობლემა.

საქართველოც და რუსეთიც არიან 1980 წლის შეიარაღების შესახებ კონვენციის (1980 Convention on Conventional Weapons, CCW) V პროტოკოლის ომის ფეთქებადი ნარჩენების შესახებ წევრები.<sup>20</sup> ამ კონვენციის თანახმად, წევრი ქვეყნების მოვალეობაში შედის ომის ფეთქებადი ნარჩენებისგან გაწმენდაში დახმარების "უზრუნველყოფა, სადაც შესაძლებელია". ჩართულმა წევრმა ქვეყნებმა, აგრეთვე, უნდა მიიღონ "ყველა შესაძლო ზომა," მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად, რისკის შესახებ განათლების ამაღლების ჩათვლით, და ყველა წევრი ქვეყანა, "რომელსაც აქვს ამის შესაძლებლობა" მხარდაჭერას უნდა უწევდეს გაწმენდასა და რისკის შესახებ განათლების ამაღლებას.

## **პრობლემის ფარგლები**

### **დაბინძურება**

საქართველო დაბინძურებულია ნაღმებითა და ომის ფეთქებადი ნარჩენებით, თუმცა, პრობლემის სრული მასშტაბი საზოგადოებისთვის განაღმვის ზოგადი შეფასების დასრულებამდე (იხილეთ ქვევით) უცნობი რჩება. დაბინძურება, მეტწილად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებთან დაკავშირებული შეიარაღებული კონფლიქტების შედეგია. 2008 წლის

---

არასტაბილურობამ და გახშირდა ერთეული გადასროლები. აგრეთვე, უკიდურესად დაიძაბა საქართველო – რუსეთის ურთიერთობა. იხილეთ HRW: "Up in Flames: Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia" ("ცეცხლში: ჰუმანიტარული კანონის დარღვევა და მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დროს"), იანვარი, 2009, გვ. 16–20.

<sup>20</sup> რუსეთმა პროტოკოლის მიღებაზე ფორმალური თანხმობა გამოთქვა 2008 წლის 21 ივლისს, და იგი ძალაში შევიდა 2009 წლის 21 იანვარს. საქართველომ პროტოკოლი მიიღო 2008 წლის 22 დეკემბერს, ხოლო ძალაში შევიდა 2009 წლის 21 ივნისს. თანხმობის განცხადების შემდეგ ქვეყნებმა არ უნდა დაარღვიონ პროტოკოლის "პირობები და მიზნები", მის ძალაში შესვლამდე კი.

ავვისტოს კონფლიქტმა გამოიწვია ომის ფეთქებადი ნარჩენებით, მათ შორის, კასეტური იარაღის ნარჩენებით ახალი დაბინძურება.<sup>21</sup>

საქართველოს დაბინძურებასთან დაკავშირებული პრობლემის მეტი წილი მოდის რუსეთის ყოფილი სამხედრო ბაზების გარშემო დანადგულ ტერიტორიებზე. 2004 წელს HALO-მ გამოიკვლია საქართველოს ის ტერიტორიები, სადაც სამხედრო შეზღუდვები იძლეოდნენ დაშვებას. HALO-მ დაასკვნა: PFM-1 და PFM-2 ტიპის ნაღმებთან ასოცირებული საშიშროებასთან დაკავშირებით, "დაუყოვნებელ გაწმენდას საჭიროებს" დედაქალაქიდან – თბილისიდან 45 კმ-ით აღმოსავლეთით, საგარეჯოს სამხედრო ბაზის გარშემო, დანადგული ტყიანი ნაწილი, რომელსაც იყენებდა მოსახლეობა.<sup>22</sup> ამის მიუხედავად, 2008 წლის ივლისისთვის გაწმენდის პროექტი არ დაფინანსებულა.<sup>23</sup> საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ყველა ყოფილი რუსული სამხედრო ბაზა დაიხურა და გადაეცა საქართველოს, უკანასკნელი – 2007 წლის ნოემბერში.<sup>24</sup> საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მონაცემების მიხედვით, სავარაუდოდ, დანადგული ტერიტორიები მდებარეობს ახალქალაქში, გონიოს მიდამოებში, ვაზიანში, თელავში, კოპიტნარში, მცხეთაში, ოსიაურსა და საგარეჯოში.<sup>25</sup> დაბინძურებაა "წითელი ხიდის" გარშემოც, აზერბაიჯანისა და საქართველოს საზღვარზე.<sup>26</sup>

უშუალოდ კონფლიქტამდე ჩატარებულმა შეფასებამ დაასკვნა, რომ სამხრეთ ოსეთის ნაღმებთან დაკავშირებული პრობლემები მცირე და უმნიშვნელო იყო. 2008 წლის აგვისტოს შიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, აუფეთქებელ ჭურვებთან დაკავშირებით, პოტენციურად საყურადღებო პრობლემა შეიქმნა სამხრეთ ოსეთსა და, საერთოდ, საქართველოში, თუმცა პრობლემის სრული მასშტაბი დადგენილი არ იყო. განსაკუთრებითაა დაზიანებული გორსა და ცხინვალს შორის 20 კილომეტრიანი კორიდორი, რომელიც კონფლიქტის მიმდინარეობის პირითად არეალს წარმოადგენდა. HALO-ს მონაცემების თანახმად, ეს მიდამო დაბინძურებულია კასეტური იარაღის ნარჩენებით, S-8

<sup>21</sup> იხილეთ *ლენდმაინ მონიტორის მოხსენება 2007*, გვ. 839; და "UN warns Georgia returnees of uncleared land mines" ("გაერო აფრთხილებს საქართველოს გაუწმინდავი ნაღმების პრობლემის დაბრუნების თაობაზე"), *ასოცირებული პრესა* (ჟენევა), 26 აგვისტო, 2008, [www. iht. com](http://www.iht.com).

<sup>22</sup> მეთიუ ჰოველის ელ გზავნილი, HALO , 6 სექტემბერი, 2009.

<sup>23</sup> იხილეთ *ლენდმაინ მონიტორი 2008*, გვ. 839; და მეთიუ ჰოველის ელ გზავნილი, HALO , 2 ივლისი, 2008.

<sup>24</sup> იხილეთ *ლენდმაინ მონიტორი 2008*, გვ. 840; და ქართლოს ყორანაშვილის სატელეფონო ინტერვიუ, თავდაცვის სამინისტრო, 23 ივნისი, 2008.

<sup>25</sup> ირაკლი ყოჩაშვილის ელ გზავნილი, თავდაცვის სამინისტროს საგარეო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის თავჯდომარეს მოადგილე, 6 სექტემბერი, 2009.

<sup>26</sup> ინტერვიუ გიორგი დოლიძესთან, საგარეო საქმეთა სამინისტრო, ჟენევა, 28 მაისი, 2009. HALO-ს გამოკვლევამ აღმოაჩინა დაახლოებით 7 კმ სიგრძის დანადგული ბარიერი.



და BM-21 რაკეტებითა და მიტოვებული საბრძოლო აღჭურვილობით.<sup>27</sup> HALO-მ დაადგინა სამი ტიპის აუფეთქებელი სუბამუნიცია: AO-2.5 RTM, 9N210 და M095.<sup>28</sup> 2009 წლის ივნისში HALO-მ დაასკვნა, რომ აგროკულტურული მიწის 9 კმ<sup>2</sup> საჭიროებს გაწმენდას.<sup>29</sup> 2009 წელს HALO-ს უნდოდა სამხრეთ ოსეთში დეტალური შეფასების ჩატარება.<sup>30</sup> მაგრამ აგვისტოს შუა რიცხვებისთვის ამ ტერიტორიაზე არ დაუშვეს.<sup>31</sup>

სამხრეთ ოსეთის დაბუნძურებასთან ერთად, დაიბოძა სხვა მიდამოებიც, მათ შორის, ზემო კოდორის ხეობა.<sup>32</sup> აუფეთქებელ ჭურვებთან, მათ შორის კასეტური იარაღის ნარჩენებთან, დაკავშირებული საშიშროება, არის ფოთის პორტშიც, რომელსაც იყენებს სანაპირო დაცვა და რომელიც დაიბოძა კონფლიქტის დროს.<sup>33</sup>

### **მსხვერპლი**

2008 წელს ლენდმაინ მონიტორმა ნაღმების, სუბამუნიციის და ომის სხვა ფეთქებადი ნარჩენების მოქმედების 13 ინციდენტში 26 ახალი მსხვერპლი გამოავლინა, რომელთა შორის 9 დაღუპული და 17 დაჭრილია. დაზარალებულთა უმეტესობა მამაკაცია (17), ერთი ქალი და ერთი ადამიანის სქესი უცნობია. დანარჩენი რვა - ბავშვია, (ექვსი ბიჭი, ერთი გოგო, და ერთი დაუდგენელი სქესის). რვა დაზარალებული პოლიციელია, დანარჩენი 18 – მშვიდობიანი მოქალაქე. განცხადება, განაღმვითი სამუშაოების დროს მიმხდარი მსხვერპლის შესახებ, არ ყოფილა. ხუთი ადამიანი დაშავდა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებისგან, ორი – ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებისგან, შვიდი – სუბამუნიციისგან, და ხუთი – უცნობი დანადგარისგან. ინციდენტისას ყველაზე ხშირ ქმედებას წარმოადგენდა: ჯართის შეგროვება (შვიდი), შეშის

---

<sup>27</sup> HALO, “Caucasus & Balkans, Georgia, The Problem” (“კავკასია და ბალკანეთი, საქართველო, პრობლემა”), [www.halotrust.org](http://www.halotrust.org); და მეთიუ ჰოველის ელ გზავნილი, HALO, 6 სექტემბერი, 2009.

<sup>28</sup> HALO, “An Introduction to the Ammunition Threat in the Gori-Tskhinvali Corridor” (“გორი-ცხინვალის კორიდორში სამხედრო აღჭურვილობასთან დაკავშირებული საშიშროების წარდგენა”), [www.halogeorgia.org](http://www.halogeorgia.org). აღჭურვილობა დამტამპულია, როგორც M095, მაგრამ, M85 აღჭურვილობის იდენტურია.

<sup>29</sup> HALO, “Caucasus & Balkans, Georgia, The Problem” (“კავკასია და ბალკანეთი, საქართველო, პრობლემა”), [www.halotrust.org](http://www.halotrust.org).

<sup>30</sup> HALO, “Caucasus & Balkans, Georgia, Requirement for Continued Clearance” (“კავკასია და ბალკანეთი, საქართველო, გაწმენდის გახანგრძლივების საჭიროება”), [www.halotrust.org](http://www.halotrust.org).

<sup>31</sup> მეთიუ ჰოველის ელ გზავნილი, HALO, 11 აგვისტო, 2009.

<sup>32</sup> HALO, “Caucasus & Balkans, Georgia, The Problem” (“კავკასია და ბალკანეთი, საქართველო, პრობლემა”), [www.halotrust.org](http://www.halotrust.org).

<sup>33</sup> “NPA Georgia Operations Overview” (“ნორვეგიელი ხალხის დახმარების (Norwegian People’s Aid, NPA) მიერ საქართველოს მოქმედების გადახედვა”), ჯონათან გუსრის პრეზენტაცია, პროგრამის მენეჯერი, ბრძოლის ველის გაწმენდა საქართველოში, NPA, 31 მარტი, 2009.

შეგროვება და ფეთქებად მოწყობილობებთან ურთიერთობა (ხუთი თითოეულ შემთხვევაში). სულ, რვა დაზარალებული აღირიცხა სამხრეთ ოსეთში დაფიქსირებულ ოთხ ინციდენტში. ექვსი პოლიციელია (მათ შორის, ხუთი ერთ ინციდენტში) და დანარჩენი ორი – ბავშვი.<sup>34</sup>

ეს გაზრდილი მაჩვენებლებია, 2007 წელთან შედარებით, რომლის განმავლობაში სამხრეთ ოსეთში მხოლოდ სამი ადამიანი დაშავდა. თუმცა, ამომწურავი მონაცემების შეგროვების არასრულფასოვნების გამო 2008 წელს დაშავებულთა საერთო რიცხვი უცნობია.

განცხადებების თანახმად, 2008 წელს ნაღმების მოქმედების 4 ინციდენტში კიდევ 11 მშვიდობიანი მოქალაქე დაშავდა აფხაზეთიდან საქართველოში გალის სასაზღვრო ტერიტორიის გადმოკვეთისას. ამ ინციდენტებიდან, მიიჩმუმ სამ შემთხვევაში, დაზარალებულებმა სამედიცინო დახმარება საქართველოში მიიღეს.<sup>35</sup>

ამის გარდა, 2008 წლის ივნისში ერთი ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა ერავში, სავარაუდოდ, ნაღმისგან; მაგრამ არ არის ცნობილი, იყო თუ არა ეს მოწყობილია ბრძანებით დეტონირებული.<sup>36</sup>

HRW-ის თანახმად, 2008 წლის კონფლიქტის დროს კასეტური იარაღის ბრძოლებში გამოყენებამ გამოიწვია, სულ მცირე, 16 მშვიდობიანი მოქალაქის დაღუპვა და 54-ის – დაშავება.<sup>37</sup> კასეტური იარაღის ეს პირდაპირი მსხვერპლი არ შედის ნაღმებისა და ომის ფეთქებადი ნარჩენების შედეგად 2008 წელს დაშავებულთა საერთო რიცხვში.<sup>38</sup>

---

<sup>34</sup> ინფორმაცია ეყრდნობა ლენდმაინ მონიტორის მედია მონიტორინგს 2008 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

<sup>35</sup> ეს მსხვერპლი შეყვანილია აფხაზეთში 2008 წელს დაშავებულთა საერთო რიცხვში. იხილეთ მოხსენება აფხაზეთის შესახებ ლენდმაინ მონიტორის ამ გამოცემაში.

<sup>36</sup> იხილეთ *ლენდმაინ მონიტორი 2008*, გვ. 841.

<sup>37</sup> HRW, “A dying practice: use of cluster munitions by Georgia and Russia in August 2008” (“სიკვდილის პრაქტიკა: კასეტური იარაღის გამოყენება რუსეთისა და საქართველოს მიერ 2008 წლის აგვისტოში”), ნიუ-იორკი, აპრილი, 2009, [www.hrw.org](http://www.hrw.org). გვ. 1, 40, 54.

<sup>38</sup> ლენდმაინ მონიტორის მსხვერპლის საერთო მონაცემები გულისხმობს მხოლოდ ისეთ ინციდენტში დაღუპულ ან დაშავებულ პირებს, რომელშიც ასაფეთქებელი მოწყობილობა შემთხვევით დეტონირდა პიროვნების სიახლოვის ან კონტაქტის შედეგად. ბრძოლის დროს გამოყენებული ომის სხვა იარაღისა და სამიზნე, მათ შორის, კასეტური იარაღის შედეგად დაშავებულები, არ შედის დაზარალებულთა საერთო რიცხვში. სამომავლოდ, კასეტური იარაღის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლამ, შეიძლება გამოიწვიოს კასეტური სუბამუნიციის მსხვერპლის განსაზღვრების გადახედვა.

მსხვერპლი არის 2009 წელსაც. ივნისის შუა რიცხვებში გამოაცხადეს ექვსი ადამიანის დაშავება (სამი დაიღუპა და სამი დაშავდა). სამი დაშავებული მამაკაცია და სამი – ქალი. აქედან ნაღმებისგან დაშავდა ოთხი და ომის ფეთქებადი ნარჩენებისგან – ორი.<sup>39</sup>

1999 წლიდან არ არსებობს დაშავებულთა სრული სია. 2001 წლიდან — ICBL-ის საქართველოს კომიტეტის (ICBL Georgian Committee, ICBL-GC) მიერ მონაცემთა შეგროვების დაწყებიდან - 2008 წლის ბოლომდე, ლენდმან მონიტორმა გამოავლინა 387 დაზარალებული (104 დაღუპული, 267 დაშავებული, და 16 დაუდგენელი). ICBL-GC-მა მედია მონაცემებზე დაყრდნობით 383 დაზარალებული აღრიცხა 2001 წლიდან 2007 წლის მაისამდე, როცა მოხსენება შეწყვიტა. თუმცა, ინფორმაციის უტყუარობა კითხვის ქვეშ დაისვა და მონაცემები შემდეგში არ გადამოწმებულა. 2001–2005 წლებში HALO-მ აღრიცხა ნაღმის 27 მსხვერპლი საქართველოში, აფხაზეთის გარდა.<sup>40</sup> მსხვერპლი შემცირდა 111-დან 2001 წელს, 16-მდე 2005 წელს. ამ პერიოდის შემდეგ, დაზარალებულთა რაოდენობა, როგორც ჩანს, კვლავ იზრდება, თუმცა ადეკვატური მოხსენება არ არის შესაძლებელი.<sup>41</sup>

2009 წელს საპროთეზო-ორთოპედიული რეაბილიტაციის ქართულმა ფონდმა (Georgian Foundation for Prosthetic and Orthopedic Rehabilitation, GEFPOR) განაცხადა, რომ მას, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არსებულ კონფლიქტებში დაზარალებულთა ჩათვლით, აღრიცხული ჰყავს ნაღმისგან დაშავებული, სულ მცირე, 591 ამპუტირებული პირი.<sup>42</sup> 2007 წელს GEFPOR-მ წარმოადგინა გასულ კონფლიქტებში ნაღმებისა და ომის ფეთქებადი ნარჩენების მოქმედების შედეგად დაშავებული 357 ამპუტირებულის დეტალური ინფორმაცია.

### **რისკის პროფილი**

2008 წლის აგვისტოდან ომის ფეთქებადი ნარჩენების მოქმედებისაგან ხალხის დაშავების რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა. "საზოგადოებრივ გაწმენდაში" ჩართული ხალხი საფრთხის ქვეშაა, თუმცა ERW-ის მონაცემებით, "საფრთხის მიუხედავად, ადგილობრივები მოწადინებულნი არიან გაწმენდაში, რათა

<sup>39</sup> ინფორმაცია ეყრდნობა ლენდმან მონიტორის მედია მონიტორინგს 2009 წლის 1 იანვრიდან 15 ივნისამდე.

<sup>40</sup> იხილეთ ლენდმან მონიტორის მოხსენება 2007, გვ. 829; და ლენდმან მონიტორის მოხსენება 2004, გვ. 973.

<sup>41</sup> ლენდმან მონიტორის მოხსენება 2004, გვ. 972–973; ლენდმან მონიტორის მოხსენება 2005, გვ. 711–712; ლენდმან მონიტორის მოხსენება 2007, გვ. 829; და ლენდმან მონიტორის მოხსენება 2008, გვ. 842.

<sup>42</sup> მარიკა კალმახელიძის ელ გზავნილი, ურთიერთობის მენეჯერი, GEFPOR, 24 აპრილი, 2009.

დაიცვან თავიანთი ოჯახები და შესძლონ ყანებში მუშაობა”.<sup>43</sup> ხალხი, ასევე, ნაღმების მოქმედების გარკვეული რისკის ქვეშაა, განსაკუთრებით, მდინარე ენგურის შემოგარენში, რომელიც გამოჰყოფს აფხაზეთს დანარჩენი ქვეყნისგან.<sup>44</sup>

## **პროგრამის მართვა და კოორდინაცია**

### **განაღმვა**

2009 წელს საქართველოში დაარსდა ოფიციალური განაღმვის პროგრამა, და ორი, ერთი შეხედვით, პარალელურ ინიციატივაში ჩართულ მრავალფეროვან ეროვნულ და ინტერნაციონალურ მონაწილეებთან კოორდინაციასთან დაკავშირებით ერთგვარი დაბნეულობა შეიქმნა.

2008 წლის 9 ოქტომბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და აშშ-ს მიერ დაფუძნებულ ორგანიზაცია „ინფორმაციული მენეჯმენტი და განაღმვის პროგრამას“ (the Information Management & Mine Action Programs, iMMAP) შორის დაიდო ურთიერთგაგების მემორანდუმი.<sup>45</sup> აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა iMMAP-ს საქართველოს მთავრობის დახმარება დაავალა, კერძოდ, ომის ფეთქებადი ნარჩენების საკოორდინაციო ცენტრის ჩამოყალიბებით (Explosive Remnants of War Coordination Center, ERWCC).

ERWCC-ის ოფიციალური გახსნა ჩატარდა 2009 წლის 25 თებერვალს თბილისში.<sup>46</sup> გიორგი მუჩაიძემ, თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, სადილზე განაცხადა: "უფრო მნიშვნელოვანია ზემოთ ხსენებული ოფისის რეორგანიზება განაღმვის ეროვნულ ცენტრად, რომელიც ამ პრობლემასთან გასამკლავებლად წინგადადგმული ნაბიჯი იქნება".<sup>47</sup> ჩაფიქრებულია, ERWCC-ის, საბოლოოდ, საქართველოს ომის ფეთქებადი ნარჩენების პრობლემისკენ მიმართულ ეროვნულ ოფისად გადაქცევა, რომელსაც დაეხმარებიან საერთაშორისო ტექნიკური მრჩეველები. ERWCC-ის სამომავლო განვითარება ითვალისწინებს ნაციონალური დირექტორისა და

<sup>43</sup> HRW, "A dying practice: Use of cluster munitions by Russia and Georgia in August 2008" ("სიკვდილის პრაქტიკა: კასეტური იარაღის გამოყენება რუსეთისა და საქართველოს მიერ 2008 წლის აგვისტოში"), აპრილი, 2009, გვ. 74.

<sup>44</sup> ინფორმაცია ეყრდნობა ლენდმაინ მონიტორის მედია მონიტორინგს 2008 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

<sup>45</sup> "Americans will help to demine the territory of Georgia" ("ამერიკელები დაეხმარებიან საქართველოს ტერიტორიის განაღმვაში"), *Newsru.com*, 10 ოქტომბერი 2008, [www.newsru.com](http://www.newsru.com).

<sup>46</sup> iMMAP, "Establishing the New Georgian Explosive Remnants of War Coordination Centre (ERWCC)" ("ომის ფეთქებადი ნარჩენების ახალი ქართული საკოორდინაციო ცენტრის დაფუძნება"), *პრესა*, 25 თებერვალი, 2009.

<sup>47</sup> თავდაცვის სამინისტრო, "Presentation of the New Office at the Hotel Tbilisi – Marriott" ("ახალი ოფისის პრეზენტაცია სასტუმრო თბილისი- მარიოტში"), 25 თებერვალი, 2009, [www.mod.gov.ge](http://www.mod.gov.ge).



ადგილობრივი ხელმძღვანელობის შტატის დამატებას.<sup>48</sup> 2009 წელს ERWCC/iMMAP-მა საქართველოში განაღმვის მონაწილეებს უმასპინძლა მოქმედების კოორდინაციის ერთკვირიან შეხვედრაზე.<sup>49</sup>

განაღმვის კოორდინაციის მეორე ინიციატივა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფარგლებშია, რომელიც განაღმვის ქართული ცენტრის (Georgian Mine Action Center, GMAC), როგორც ეროვნული იურიდიული ერთეულის შექმნის საკითხზე, მუშაობდა.<sup>50</sup> საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ განაღმვის კოორდინაციის საჭიროებას თავდაპირველად უპასუხა განაღმვის სექტორის დაარსებით საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტატის ფარგლებში J-3 ოპერატიულ დეპარტამენტში 2008 წლის ოქტომბერს. თავდაცვის სამინისტრო აპირებს ეროვნული კოორდინაციის დატვირთვის გაზრდას და განაღმვის სექტორის სამხედრო ზედამხედველობიდან სამოქალაქოზე გადაყვანას.

2008 წლის 23 ოქტომბერს დაიდო "განაღმვის ჰუმანიტარული დახმარების" ურთიერთგაგების ორწლიანი მემორანდუმი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სლოვაკეთის მიერ დაფუძნებულ განაღმვისა და ნაღმებისგან დაზარალებულთა დახმარების ნდობის ფონდს Soris (International Trust Fund for Demining and Mine Victims Assistance, ITF). 2009 წლის იანვარში ITF-მა წამოიწყო შესაძლებლობების შენების ეროვნული პროგრამა. ITF-ის პარტნიორები – ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი, და სლოვაკეთი – პროგრამას დახელოვნებული შტატებით უზრუნველყოფენ და თავდაცვის სამინისტროსა და ERWCC/iMMAP-ის თანამშრომლობით, განაღმვის ეროვნულ ცენტრს აარსებენ.

### ***განათლება რისკის შესახებ და დაზარალებულთა დახმარება***

2008 წელს რისკის შესახებ განათლებასა და დაზარალებულთა დახმარების საკითხებში არ არსებობდა რაიმე საკოორდინაციო ორგანო. ERWCC-ს აქვს რისკის შესახებ განათლების კოორდინაციის მანდატი.<sup>51</sup> 2009 წლის დასაწყისში iMMAP-მა მიიღო მოსამზადებელი ზომები, რომ, ასევე, შეათანხმოს დაზარალებულთა მხარდაჭერა.<sup>52</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და

<sup>48</sup> დავით არმიტის ელ გზავნილი, პროგრამის მენეჯერი, iMMAP, 26 ივნისი, 2009.

<sup>49</sup> რანდი კერელის ელ გზავნილი, ოპერაციების მენეჯერი, iMMAP, 26 ივნისი, 2009.

<sup>50</sup> ირაკლი ყოჩაშვილის ელ გზავნილი, თავდაცვის სამინისტრო, 30 ივნისი, 2009.

<sup>51</sup> iMMAP, "ომის ფეთქებადი ნარჩენების ახალი ქართული საკოორდინაციო ცენტრის დაფუძნება (ERWCC)", პრესა, 25 თებერვალი, 2009.

<sup>52</sup> ინტერვიუ ლელა რეხვიაშვილთან, ოპერაციების ასისტენტი, ERWCC/iMMAP, 3 მაისი, 2009.

სოციალური დაცვის სამინისტროს ევალუა ინვალიდების საკითხების კოორდინირება.<sup>53</sup>

**მონაცემთა შეგროვება და მართვა**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თხოვნით, ჰუმანიტარული განაღმვის ჟენევის საერთაშორისო ცენტრმა (Geneva International Centre for Humanitarian Demining, GICHD) სამინისტრო განაღმვის ინფორმაციული მენეჯმენტის სისტემით (the Information Management System for Mine Action, IMSMA) უზრუნველყო. სისტემის ინსტალაცია და ეროვნული პერსონალის შესაბამისი ტრენინგი ჩაატარა iMMAP-მა.<sup>54</sup> GICHD-მა ERWCC-ის ორ შტატს მონაცემთა ბაზის უახლესი ვერსია შეასწავლა. ამ ორი შტატის წევრებმა (ერთი ადგილობრივი და ერთი ინტერნაციონალური), თავის მხრივ, თბილისში ჩაუტარეს ტრენინგები ქართულ მხარეს, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და ჯანდაცვის სამინისტროების წარმომადგენლებს, ისევე, როგორც განაღმვის პროგრამაში ჩართულ მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრებს.<sup>55</sup>

2008 წელს საქართველოში არ არსებობდა ნაღმებსა და ომის ფეთქებად ნარჩენებთან დაკავშირებული მონაცემთა შეგროვების სისტემა. 2009 წლის დასაწყისში iMMAP-მა დაშვებულთა შესახებ ინფორმაცია შეკრიბა GEFPOR-სგან და სახელმწიფო საპროთეზო ცენტრისგან, რათა, სტანდარტიზების შემდეგ, განაღმვის ინფორმაციული მენეჯმენტის სისტემაში გამოეყენებინა.<sup>56</sup>

**განაღმვის პროგრამის შემსრულებლები**

ეროვნული შემსრულებლები და ქმედებები	განაღმვა	რისკის შესახებ განათლება	დაზარალებულთა მონაცემების შეგროვება	დაზარალებულთა დახმარება
თავდაცვის სამინისტრო (საინჟინრო ბატალიონი)	X			
GEFPOR				X
ADW				X
ICBL-GC				X
შინაგან საქმეთა სამინისტრო	X			
საერთაშორისო შემსრულებლები და ქმედებები	განაღმვა	რისკის შესახებ განათლება	დაშვებულთა მონაცემების შეგროვება	დაზარალებულთა დახმარება
iMMAP	X		X	X
ITF				X

<sup>53</sup> ინტერვიუ ლოლიტა შენგელიასთან, სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი, სმჯსდ სამინისტრო, თბილისი, 2 მაისი, 2009.

<sup>54</sup> ირაკლი ყოჩაშვილის ელ გზავნილი, თავდაცვის სამინისტრო, 6 სექტემბერი, 2009.

<sup>55</sup> რანდი კერელის ელ გზავნილი, ოპერაციების მენეჯერი, iMMAP, 26 ივნისი, 2009.

<sup>56</sup> ინტერვიუ ლელა რეხვიაშვილთან, ოპერაციების მენეჯერი, ERWCC/iMMAP, 3 მაისი, 2009.

HALO	x	x		
NPA	x	x		
ICRC			X	x

## გეგმები

### განაღმვის სტრატეგიული გეგმა

NPA განაღმვის ოთხთვიან ზოგად შეფასებას ატარებს, რაც დასრულდება 2009 წლის ბოლოს. მოპოვებული ინფორმაცია დაეხმარება ERWCC–ს განაღმვის სტრატეგიული გეგმის განვითარებასა და ეროვნული პრიორიტეტების განსაზღვრაში.<sup>57</sup> შეფასებას ფოთის პორტის წყალქვეშა კვლევა სრულყოფდა.<sup>58</sup>

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოკლევადიან პრიორიტეტად 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს დაბინძურებული ყველა მიდამოს გაწმენდა დაისახა. ამასთან დაკავშირებით, დაიგეგმა განაღმვის ეროვნული სამმართველოს შექმნა, როგორც განაღმვის ოპერაციების ნაციონალური მასშტაბით სამართავად, ასევე, მისი ხარისხიანი მენეჯმენტისთვის და აუცილებელი სერტიფიკატების გასაცემად.<sup>59</sup>

გრძელვადიანი მიზანია განაღმვის საერთაშორისო სტანდარტების (International Mine Action Standards, IMAS) შესაბამისი უნარების განვითარება, რათა გაიწმინდოს საქართველოს მთელ ტერიტორია და გაუმჯობესდეს დაზარალებულთა დახმარება.<sup>60</sup> 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ განვითარებული ომის ფეთქებადი ნარჩენების პრობლემასთან ბრძოლის მიზნით, საქართველოს მიერ დახმარების თხოვნის საფუძველზე, ნატოს უზრუნველყოფისა და მომარაგების სააგენტომ, 2009 წლის მარტში, გადაწყვიტა ჩამოეყალიბებინა პროექტი, რომელსაც უხელმძღვანელებენ ესტონეთი და ლიტვა და რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ინჟინრების ბრიგადის დახელოვნებას ჰუმანიტარულ განაღმვასა და ომის ფეთქებადი ნარჩენებისგან გაწმენდაში. პროექტი 2009 წლის განმავლობაში უნდა დაიწყოს და მოიცვას ფეთქებადი აღჭურვილობის გაუვნებელყოფის სწავლების თანამედროვე სტანდარტებისა და აღჭურვილობის უზრუნველყოფა.<sup>61</sup>

<sup>57</sup> ჯონათან გუსრის ელ გზავნილი, NPA, 8 სექტემბერი, 2009.

<sup>58</sup> “NPA Georgia Operations Overview” (“NPA–ის მიერ საქართველოს მოქმედების განხილვა”), ჯონათან გუსრის პრეზენტაცია, NPA, 31 მარტი, 2009.

<sup>59</sup> ირაკლი ყოჩაშვილის ელ გზავნილი, თავდაცვის სამინისტრო, 30 ივნისი, 2009.

<sup>60</sup> იქვე.

<sup>61</sup> გვანცა კვინიკაძის ელ გზავნილი, პროექტის მენეჯერი, ნატოს თანამშრომლობა საქართველოს მშვიდობისა და ნდობის დაფუძნების პროექტი, 23 მარტი, 2009.

2008 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციის მიღებასა და ინვალიდთა საკითხში საქართველოს ეროვნული გეგმის წარდგენისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა და შეზღუდული შესაძლებლობების პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფციის დოკუმენტს გადახედა. მთავრობა ვალდებულია, დოკუმენტში მოყვანილი პუნქტების მიხედვით, ინვალიდთა საკითხში ეროვნული მოქმედების გეგმა შეიმუშაოს და პარლამენტში შეიტანოს 2009 წლის სექტემბრისთვის. აგრეთვე, უნდა გადახედოს შესაბამის კანონმდებლობას და 2009 წლის ნოემბრისთვის გეგმის განსახორციელებლად საჭირო ქმედებები დასახოს.<sup>62</sup> კონცეფციის დოკუმენტი ჩამოაყალიბა კოალიციამ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ორგანიზაციების ეროვნულმა კოალიციამ, სშჯსდ სამინისტროსთან ერთად.<sup>63</sup>

### **ეროვნული საკუთრება**

#### **განაღმვის გადაწყვეტილება და დაზარალებულთა დახმარება**

საქართველომ გამოაცხადა თავისი სურვილი, გაათავისუფლოს ქვეყანა ნაღმებთან დაკავშირებული საფრთხისაგან და ითანამშრომლოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან.<sup>64</sup> 2008 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებულმა შტატმა (J-3) შექმნა განყოფილება ნაღმებთან დაკავშირებულ პრობლემასთან გასამკლავებლად.<sup>65</sup> თუმცა, 2009 წლისთვის საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს განაღმვის სრული სამოქმედო პროგრამა და ამ პრობლემაზე პასუხისმგებელი სამმართველო. თავდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა განაღმვის სტრატეგიის შემუშავებისა და განაღმვის ცენტრის ჩამოყალიბების გეგმები, რომლებიც "ნაღმების აკრძალვის შესახებ შეთანხმებისა და CCW-ის II გაუმჯობესებული პროტოკოლის შესაბამისად" განხორციელდება.<sup>66</sup>

<sup>62</sup> საქართველოს პარლამენტი, "Concept Paper on Social Integration of the People with Disabilities" ("პარლამენტში ერთხმად გასული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფციის დოკუმენტი"), გვ. 3, [www.parliament.ge](http://www.parliament.ge); კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის (Coalition for Independent Living, CIL), "Concept Paper on Social Integration Unanimously Passed by Parliament" ("პარლამენტის მიერ ერთხმად მიღებული სოციალური ინტეგრაციის კონცეფციის დოკუმენტი"), [disability.ge](http://disability.ge).

<sup>63</sup> ინტერვიუ ლოლიტა შენგელიასთან, სშჯსდ სამინისტრო და რატი იონათამაშვილთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, CIL, თბილისი, 2 მაისი, 2009.

<sup>64</sup> ირაკლი ყოჩაშვილის ელ გზავნილი, თავდაცვის სამინისტრო, 30 ივნისი, 2009.

<sup>65</sup> სატელეფონო ინტერვიუ პოლკოვნიკ ზურაბ გაბუნისასთან, თავდაცვის სამინისტრო, 25 ივნისი, 2009.

<sup>66</sup> იხილეთ *ლენდმაინ მონიტორის მოხსენება 2008*, გვ. 840; და ქართლოს ყორანაშვილის ელ გზავნილი, თავდაცვის სამინისტრო, 16 მაისი, 2008.



## *განაღმვის ეროვნული კანონმდებლობა და სტანდარტები/მოქმედების დადგენილი პროცედურები*

2009 წლის ივნისამდე საქართველოში არ არსებობდა განაღმვის კანონმდებლობა.<sup>67</sup> განაღმვის შესასრულებლად საქართველოს ჯარი დღესაც იყენებს მოქმედების დადგენილ საბჭოთა პროცედურებს, რომლებიც არღვევენ მთელ რიგ სამხედრო წესებს, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო პერსონალი ნატოს სტანდარტების მიხედვითაც გაივლის მომზადებას. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადების მიხედვით, მომავალში საქართველო აითვისებს განაღმვის IMAS-ის მოთხოვნების შესაბამის პროცედურებს.<sup>68</sup> 2009 წლის ივნისისამდე ეროვნული სტანდარტები არ შემუშავებულა, თუმცა მათი ჩამოყალიბება iMMAP-მა ითავა.<sup>69</sup>

## **განაღმვა და ბრძოლის ველის გაწმენდა**

2008 წელს საქართველოს სამხედრო გამანადმველებმა და ორმა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ: HALO-მ და NPA-მ, ჩაატარეს განაღმვა და ბრძოლის ველის გაწმენდა. დასახლებული პუნქტების, გზებისა და სარკინიგზო ხაზების გაწმენდა წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვალდებულებას, მაშინ, როცა თავდაცვის სამინისტროს სპეციალური საინჟინრო დანაყოფი სამხედრო მიდამოების გასუფთავებაზეა პასუხისმგებელი. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, კასეტური იარაღისა და ომის აუფეთქებული აღჭურვილობისგან გაწმენდის ოპერაციებში ორივე მათგანი იყო ჩართული.<sup>70</sup> როცა რუსეთის სამხედრო ძალებმა დატოვეს გორის და ქარელის ტერიტორიები, 80 გამანადმველისგან შემდგარი საქართველოს შეიარაღებული ძალების საინჟინრო დანაყოფი ფეხდაფეხ მიჰყვა მათ.<sup>71</sup> განცხადებების თანახმად, ქართველები ასრულებდნენ ზედაპირული გაწმენდას და დაბუნძურებულ მიდამოებს გადასცემდნენ საერთაშორისო გამანადმველებს, უფრო ღრმა გასუფთავებისთვის.<sup>72</sup>

2009 წლის თებერვალში ქართველმა სამხედრო გამანადმველებმა შეწყვიტეს ოპერაცია, NPA აწარმოებდა 26 გამანადმველის სწავლებას, რათა 2009 წლის მარტში გაეგრძელებინათ გაწმენდა.<sup>73</sup> 2008 წლის სექტემბერში NPA-მ და

<sup>67</sup> ირაკლი კოჩაშვილის ელ გზავნილი, თავდაცვის სამინისტრო, 30 ივნისი, 2009.

<sup>68</sup> იხილეთ ლენდმაინ მონიტორის მოხსენება, 2008, გვ. 840; და ქართლოს ყორანაშვილის ელ გზავნილი, თავდაცვის სამინისტრო, 16 მაისი, 2008.

<sup>69</sup> რანდი კერელის სატელეფონო ინტერვიუ, iMMAP, 25 ივნისი, 2009.

<sup>70</sup> HRW, "A Dying Practice, Use of Cluster Munitions by Russia and Georgia in August 2008" ("სიკვდილის პრაქტიკა: კასეტური იარაღის გამოყენება რუსეთისა და საქართველოს მიერ 2008 წლის აგვისტოში"), აპრილი, 2009, გვ. 71.

<sup>71</sup> იქვე, გვ. 70.

<sup>72</sup> იქვე, გვ. 71.

<sup>73</sup> იქვე, გვ. 71.

თავდაცვის სამინისტრომ ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს (Memorandum of Understanding, MoU),<sup>74</sup> ხოლო 2009 წლის 20 თებერვალს ორ მხარეს შორის დაიდო გაწმენდის განხორციელების ხელშეკრულება.<sup>75</sup> პროცესის დასაჩქარებლად, NPA-მ გამოცდილი გამნალმველები ჩართო, რომლებიც ადრე ბოსნია ჰერცეგოვინასა და ლიბანში მუშაობდნენ. MoU-ის ვადა გრძელდება 2010 წლის სექტემბრამდე, ხოლო ბრძოლის ველის გაწმენდის განხორციელების ხელშეკრულების ვადა – 2009 წლის 12 დეკემბრამდე. NPA საქართველოში არ აწარმოებს განაღმვას, არამედ, მხოლოდ ბრძოლის ველის გაწმენდას.<sup>76</sup> NPA აუვნებელყოფს სუბამუნიციას 30სმ სიღრმეზე.<sup>77</sup> იგი გაწმენდას გააგრძელებს, სულ მცირე, 2009 წლის სექტემბრამდე.<sup>78</sup>

HALO-მ გაწმენდის ოპერაციები დაიწყო უშუალოდ კონფლიქტის შემდეგ, ვინაიდან უკვე ჰქონდა განაღმვის პროგრამა აფხაზეთში.<sup>79</sup> ახალი MoU თავდაცვის სამინისტროსა და HALO-ს შორის დაიდო 2008 წლის 5 სექტემბერს.<sup>80</sup> 2009 წლის თებერვალში HALO-ს გამნალმველების 6 კაციანი 40 გუნდი ჰყავდა.<sup>81</sup>

#### ბრძოლის ველის გაწმენდა 2008 წელს<sup>82</sup>

<sup>74</sup> "ურთიერთგაგების მემორანდუმი "განაღმვის ჰუმანიტარულ დახმარებაში", 17 სექტემბერი, 2008, [www.mod.gov.ge](http://www.mod.gov.ge); და "ნორვეგია დაეხმარება საქართველოს ნაღმებისგან გაწმენდის სამუშაოებში", 19 სექტემბერი, 2008, [www.norge.ru](http://www.norge.ru).

<sup>75</sup> ვასილ რუბაშვილის ელ გზავნილი, საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის პირველი მდივანი, 31 მარტი, 2009.

<sup>76</sup> ჯონათან გუსრის ელ გზავნილი, NPA, 23 მარტი, 2009.

<sup>77</sup> HRW, "A Dying Practice, Use of Cluster Munitions by Russia and Georgia in August 2008" ("სიკვდილის პრაქტიკა: კასეტური იარაღის გამოყენება რუსეთისა და საქართველოს მიერ 2008 წლის აგვისტოში"), აპრილი, 2009, გვ. 73.

<sup>78</sup> ჯონათან გუსრის სატელეფონო ინტერვიუ, NPA, 2 ივლისი, 2009.

<sup>79</sup> HALO, "HALO Emergency Response in Georgia" ("HALO-ს დაუყოვნებელი პასუხი საქართველოში"), [www.halotrust.org](http://www.halotrust.org).

<sup>80</sup> ვასილ რუბაშვილის ელ გზავნილი, საგარეო საქმეთა სამინისტრო, 31 მარტი 2009.

<sup>81</sup> HRW, "A Dying Practice, Use of Cluster Munitions by Russia and Georgia in August 2008" ("სიკვდილის პრაქტიკა: კასეტური იარაღის გამოყენება რუსეთისა და საქართველოს მიერ 2008 წლის აგვისტოში"), აპრილი, 2009, გვ. 72; მეთიუ ჰოველის ელ გზავნილი, HALO, 6 სექტემბერი, 2009.

<sup>82</sup> "NPA Georgia Operations Overview" ("NPA-ის მიერ საქართველოს მოქმედების განხილვა"), ჯონათან გუსრის პრეზენტაცია, NPA, 31 მარტი, 2009 და ჯონათან გუსრის ელ გზავნილი, 8 სექტემბერი, 2009; და ენდრიუ მურის ელ გზავნილი, HALO, 14 აგვისტო, 2009. HALO-მ, ასევე, განაცხადა, რომ ჩაატარა ბროლის ველის 67,889მ<sup>2</sup> ფართობის ღრმა წმენდა, გაფანტული აღჭურვილობის 694 და ხელის აღჭურვილობის 300 ერთეულის გაუვნებელყოფა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადების მიხედვით, საქართველოს შეიარაღებული ძალების საინჟინრო ბატალიონმა მოახდინა აუფეთქებელი აღჭურვილობის

განაღმვის შემსრულებლები	ბრძოლის ველის გაწმენდა (კმ <sup>2</sup> )	გაუვნებელყოფილი აუფეთქებელი სუბამუნიცია	გაუვნებელყოფილი ომის სხვა ფეთქებადი ნარჩენები
NPA	1.11	35	2
HALO Trust	6.78	631	94
თავდაცვის სამინისტრო	გამოუქვეყნებელი	687	2,200–ზე მეტი

2008 წლის კონფლიქტის შემდეგ ბრძოლის ველის გაწმენდაში სხვა საერთაშორისო პერსონალიც იყო ჩართული. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მონაცემების მიხედვით, რუსული შეიარაღებული ძალები დატოვებამდე აწარმოებდნენ თავიანთი საკონტროლო პუნქტების გარშემო დანაღმული მიდამოს გაწმენდას. მოქალაქეებმა განაცხადეს, რომ რუსულმა ჯარებმა ჩაატარეს გაწმენდა დისტში, ვარიანისში, ვარიანში, ზემო ხვითში, ტირძნისში, მეურნეობასა და ქვემო ხვითში.<sup>83</sup> მათ გაწმენდის დეტალები არ გამოუქვეყნებიათ 2009 წლის 1 ივლისისთვის, თუმცა CCW–ის განცხადებები აღნიშნავენ ემერკომის (EMERCOM) პერსონალის მიერ ომის ფეთქებადი ნარჩენების 3,000 ერთეულის ამოღებას 2008 წლის 3 აგვისტოდან 16 სექტემბრამდე.<sup>84</sup>

2008 წლის 6 სექტემბერს ფეთქებადი აღჭურვილობის ხუთი ესტონელი სპეციალისტი გადაყვანილი იქნა საქართველოს სამხრეთში და აღმოსავლეთში კონფლიქტისგან დარჩენილი აუფეთქებელი აღჭურვილობის გაუვნებელსაყოფად. ესტონელებმა ერთ თვეში ამოიღეს აუფეთქებელი აღჭურვილობის მრავალი ერთეული.<sup>85</sup> განაღმვასთან ერთად, სპეციალისტებმა

---

687 და ომის სხვა ფეთქებადი ნარჩენების 2,200–ზე მეტი ერთეულის ლიკვიდაცია. ირაკლი ყოჩაშვილის ელ გზავნილი, თავდაცვის სამინისტრო, 6 სექტემბერი, 2009.

<sup>83</sup> HRW, “A Dying Practice, Use of Cluster Munitions by Russia and Georgia in August 2008” (“სიკვდილის პრაქტიკა: კასეტური იარაღის გამოყენება რუსეთისა და საქართველოს მიერ 2008 წლის აგვისტოში”), აპრილი, 2009, გვ. 62.

<sup>84</sup> რუსეთის ფედერაციის განცხადებები, კასეტური იარაღის სამთავრობო ექსპერტთა CCW ჯგუფი, ჟენევა, 1 სექტემბერი, და პროტოკოლის V სამთავრობო ექსპერტთა CCW ჯგუფი, 23 აპრილი, 2009 (Landmine Action–ის შენიშვნები); აგრეთვე, იხილეთ რუსეთის საელჩო კამბოჯაში: “An update on the humanitarian relief efforts of the Russian Federation aimed at providing assistance to civilian population of the South Ossetia affected by the conflict in the region” (“რუსეთის ფედერაციის ჰუმანიტარული დახმარების ძალისხმევა მიზნად ისახავს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტისგან დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობისთვის დახმარების აღმოჩენას”), დაუთარილებელი, [www.embrusscambodia.mid.ru](http://www.embrusscambodia.mid.ru); და გაერო OCHA, “Situation Report No. 7 on the Situation in Georgia” (“სიტუაციის მოხსენება No. 7 საქართველოს სიტუაციის შესახებ”), 25 აგვისტო, 2008, [www.reliefweb.int](http://www.reliefweb.int).

<sup>85</sup> ქართლოს ყორანაშვილის ელ გზავნილი, თავდაცვის სამინისტრო, 23 მარტი 2009; და სატელეფონო ინტერვიუ ლელა ფოცხვერაშვილთან, თავდაცვის სამინისტრო, 2 ივლისი, 2009.

დახმარება გაუწიეს საქართველოს განაღმვის სისტემის შემუშავებასა და შესაბამისი წვრთნების ჩატარებაში.<sup>86</sup>

ადგილობრივმა მაცხოვრებლებმაც სცადეს აუფეთქებელი აღჭურვილობისგან მიდამოს გაწმენდა. საფრთხის მიუხედავად, ადგილობრივები მოწადინებულნი არიან გაწმენდაში, რათა დაიცვან თავიანთი ოჯახები და შეძლონ ყანებში მუშაობა.<sup>87</sup>

### **ხარისხის მართვა**

გამნაღმველებისთვის ერთ–ერთ უმთავრეს სირთულეს კოორდინაციის სისუსტე და მათ მიერ გაწმენდის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება წარმოადგენდა. როგორც ზემოთ არის აღნიშნული, საქართველოს ჯარი კონცენტრირებული იყო ზედაპირულ (სწრაფ) გაწმენდაზე, მაშინ, როცა საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებდნენ ნელ, ზედმიწევნით დამუშავებას, ამასთან ერთად, აწარმოებდნენ აღრიცხვას.<sup>88</sup>

როგორც HALO–ს, ასევე, NPA–ს აქვს ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის კონტროლის შიდა პროცედურები. NPA–მ ERWCC–ს მოსთხოვა ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის კონტროლის განხორციელება მიწის გადაცემამდე.<sup>89</sup> 2009 წლის ივნისში ERWCC დასახელდა ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის კონტროლის გარე პროცედურების გამტარებლად და ხარისხის ეროვნული მართვის დაარსებისა და განვითარების პროცესში ჩაერთო.<sup>90</sup>

### **განათლება რისკის შესახებ**

2008 წლის აგვისტოს კონფლიქტისა და ომის ფეთქებადი ნარჩენებით ახალი დაბინძურების საპასუხოდ, ICRC–მა და HALO–მ, UNICEF–ისა და განათლების სამინისტროსთან ერთად, შექმნეს რისკის შესახებ განათლების ორი საგანგებო პროგრამა. ქმედებები მოიცავდა მასმედიის მაუწყებლობის ჩართვას, საზოგადოებისთვის რისკის შესახებ განათლების წარდგენას, შიდა მიგრანტებისთვის ცენტრების და სკოლების შექმნას; ასევე, საინფორმაციო მასალის გავრცელებას. 2008 წლის 10 ოქტომბრამდე ICRC ერთადერთი

<sup>86</sup> “Estonian mine-clearance team receives medals for their mission in Georgia” (“ესტონელ გამნაღმველთა ჯგუფმა ჯილდოები მიიღო საქართველოში მათი მისიისთვის”), 10 ოქტომბერი, 2008, [www.baltic-course.com](http://www.baltic-course.com).

<sup>87</sup> HRW, “A Dying Practice, Use of Cluster Munitions by Russia and Georgia in August 2008” (“სიკვდილის პრაქტიკა: კასეტური იარაღის გამოყენება რუსეთისა და საქართველოს მიერ 2008 წლის აგვისტოში”), აპრილი, 2009, გვ. 74.

<sup>88</sup> იქვე, გვ. 75.

<sup>89</sup> “NPA Georgia Operations Overview” (“NPA–ის მიერ საქართველოს მოქმედების განხილვა”), ჯონათან გუსრის პრეზენტაცია, NPA, 31 მარტი, 2009.

<sup>90</sup> რანდი კერელის ელ გზავნილი, iMMAP, 26 ივნისი, 2009.



ორგანიზაცია იყო, რომელსაც შეეძლო რისკის შესახებ განათლების გატარება "ბუფერულ ზონაში" (ზონა სამხრეთ ოსეთსა და გორს შორის, რომელიც რუსეთის მიერ კონტროლდებოდა 2008 წლის 10 ოქტომბრამდე). როგორც კი ბუფერული ზონა გაიხსნა, HALO-მაც შესძლო მუშაობის დაწყება.<sup>91</sup> 44,000 პირზე მეტმა მიიღო განათლება, მათ შორის 180-მა სკოლამ.<sup>92</sup> HRW-მა აღნიშნა, რომ "მოწმეთა ჩვენებებს და აუფეთქებელი ჭურვებისგან მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლის სიმცირეს მივყავართ დასკვნამდე, რომ ეს პროგრამები წარმატებული იყო, როგორც მინიმუმ, გარკვეულ შემთხვევებში."<sup>93</sup>

ცხელი ხაზის ნომერი, პოლიციისთვის დაბინძურების შესატყობინებლად, გამოცხადდა ტელევიზიით და დაიბეჭდა ფლაერებზე.<sup>94</sup> რამდენიმე გამნადმველი ორგანიზაციის თხოვნით, ICRC-მა მიაწოდა ნიშნები დაბინძურებული მიდამოს აღსანიშნავად.<sup>95</sup>

რისკის შესახებ მცირე განათლება ტარდებოდა 1999 და 2006 წლებში ICBL-GC-ის, განათლების სამინისტროს და HALO-ს მიერ, UNICEF-ისა და ICRC-ის

---

<sup>91</sup> მარინა ბერიკაშვილის ელ გზავნილი, მკვლევარი, ლენდმაინ მონიტორი, 26 ივნისი, 2009.

<sup>92</sup> HRW, "A dying practice: Use of cluster munitions by Russia and Georgia in August 2008" ("სიკვდილის პრაქტიკა: კასეტური იარაღის გამოყენება რუსეთისა და საქართველოს მიერ 2008 წლის აგვისტოში"), აპრილი, 2009, გვ. 77; პამელა რინერი, "Educating children about unexploded ordnance through art and drama in Georgia" ("აუფეთქებელ აღჭურვილობის შესახებ ბავშვების განათლება საქართველოში ხელოვნებისა და დრამის მეშვეობით"), UNICEF, 3 აპრილი, 2009, [www.unicef.org](http://www.unicef.org); ICRC, "Georgia/South Ossetia: Remote areas lack food, proper access to health care" ("საქართველო/სამხრეთ ოსეთი: ცალკეული უბნები განიცდიან საჭმლის ნაკლებობასა და ჯანმრთელობის დაცვის მიუწვდომლობას"), დამხმარე ქსელი, 22 ოქტომბერი, 2008, [www.reliefweb.int](http://www.reliefweb.int); ქალთა საინფორმაციო ცენტრი, "Current activities: Visit to Nikozi Public School" ("მიმდინარე აქტივობა: ნიქოზის საჯარო სკოლის მონახულება"), დაუთარიღებელი, [www.wicge.org](http://www.wicge.org); ICRC, "Facts and Figures - Explosive Remnants of War" ("არგუმენტები და ფაქტები - ომის ფეთქებადი ნარჩენები"), იანვარ-დეკემბერი, 2008; საქართველოს წითელი ჯვარი, "ICRC session on mine risk education" ("ICRC-ის სესია რისკის შესახებ განათლებაში"), [redcross.ge](http://redcross.ge); და გაეროს რეზიდენტის/ჰუმანიტარული კოორდინატორის ოფისი საქართველოში, "Situation Report No. 36 on the Situation in Georgia" ("სიტუაციის მოხსენება No. 36 საქართველოს სიტუაციის შესახებ"), 13-20 ნოემბერი 2008, გვ. 1, 4.

<sup>93</sup> HRW, "A dying practice: Use of cluster munitions by Russia and Georgia in August 2008" ("სიკვდილის პრაქტიკა: კასეტური იარაღის გამოყენება რუსეთისა და საქართველოს მიერ 2008 წლის აგვისტოში"), აპრილი, 2009, გვ. 78.

<sup>94</sup> გაეროს მუდმივი/ჰუმანიტარული კოორდინაციის ოფისი საქართველოში, "Situation Report No. 36 on the Situation in Georgia" ("სიტუაციის მოხსენება No. 36 საქართველოს სიტუაციის შესახებ"), 13-20 ნოემბერი 2008, გვ. 4.

<sup>95</sup> ICRC, "Georgia/South Ossetia: Remote areas lack food, proper access to health care" ("საქართველო/სამხრეთ ოსეთი: ცალკეული უბნები განიცდიან საჭმლის ნაკლებობასა და ჯანმრთელობის დაცვის მიუწვდომლობას"), დამხმარე ქსელი, 22 ოქტომბერი, 2008, [www.reliefweb.int](http://www.reliefweb.int).

მხარდაჭერით. 1999 წელს ICBL-GC-მა ადგილობრივ მმართველობასთან თანამშრომლობა დაიწყო ზუგდიდის დასავლეთ რეგიონში. 2001 წელს საქართველომ განაცხადა, რომ რისკის შესახებ განათლება შეიტანა სკოლებში, მაგრამ ICBL-GC-მა აღნიშნა, რომ ეს განათლება ძალიან მცირეა და მას არ აქვს მხარდაჭერა. 2003 წელს HALO-მ დაიწყო რისკის შესახებ განათლების პროგრამა, რომლის სამიზნე auditoria უშუალოდ ის ხალხი იყო, რომლებმაც არალეგალურად გადმოკვეთეს აფხაზეთის საზღვარი. შემდგომში მან გააფართოვა მოქმედების არეალი ყოფილი სამხედრო ბაზების გარშემო ტერიტორიებზეც. 2004 წელს HALO-ს მიერ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ბევრმა ვერ მიიღო რისკის შესახებ განათლება და, აქედან გამომდინარე, ისინი არ იყვნენ ინფორმირებულნი და ზოგჯერ გაუფრთხილებლად იქცეოდნენ. 2006 წლის დასაწყისში HALO-მ მუშაობა შეწყვიტა არასაკმარისი დაფინანსების გამო.

### **დაზარალებულთა დახმარება**

ნაღმებისა და ომის ფეთქებადი ნარჩენებისგან დაზარალებულთა საერთო რაოდენობა უცნობია, მაგრამ განცხადებების მიხედვით, სულ მცირე 591 ადამიანია.<sup>96</sup> საქართველოს სამედიცინო და სარეაბილიტაციო სექტორებში აღინიშნებოდა დაფინანსების ნაკლოვანება, ცუდი ინფრასტრუქტურა და ტექნიკა, არაადეკვატური და დაბალი ხარისხის მომსახურება, და დამატებითი გადასახადები მომსახურებაზე. სუსტი იყო ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და ეკონომიკური რეინტეგრაციის შესაძლებლობები. მცირე პროგრესია კანონმდებლობის შემუშავებასა და გეგმების განხორციელებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, მათ შორის, ნაღმით დაზარალებულთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად. თუმცა, მთავრობასა და არასამთავრობო სექტორს შორის კოორდინაციასა და კანონმდებლობაში შეინიშნებოდა პროგრესი.<sup>97</sup>

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, მათ შორის ნაღმისგან დაზარალებულებს, უჭირთ ადეკვატური ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებისა და საზოგადოებრივი ალტერნატივების მიღება.<sup>98</sup> 2006 წლიდან, ჯანდაცვის

---

<sup>96</sup> მარიკა კალმახელიძის ელ გზავნილი, GEFPOR, 24 აპრილი, 2009. ეს მონაცემები ასახავენ მრავალ რეგისტრირებულ ნაღმისგან დაზარალებულ პირს, რომელსაც ესაჭიროება რაიმე სახის ორთოპედიული მოწყობილობა. ის დაზარალებულები, რომლებსაც არ დასჭირდათ, მაგალითად, ამპუტაცია, შეიძლება არც არასოდეს მივიდნენ GEFPOR-ში და, აქედან გამომდინარე, არც არასოდეს რეგისტრირდნენ.

<sup>97</sup> ინტერვიუ ლოლიტა შენგელიასთან, სმუხსდ სამინისტრო, და რატი იონათამაშვილთან, CIL, თბილისი, 2 მაისი, 2009.

<sup>98</sup> საქართველოს პარლამენტი, "Concept Paper on Social Integration of the People with Disabilities" ("პარლამენტში ერთხმად გასული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფციის დოკუმენტი"), გვ. 3, [www.parliament.ge](http://www.parliament.ge).

სისტემის გაუმჯობესებისთვის მსოფლიო ბანკი გამოყოფს სესხებს, რაც გაგრძელდება 2010 წლის ბოლომდე. მიუხედავად ამისა, მთავრობის მხრიდან ჯანდაცვის სექტორის პრივატიზაციამ მნიშვნელოვანი რისკი შეუქმნა სერვისის თანაბარ ხელმისაწვდომობას.<sup>99</sup> 2008 წლის კონფლიქტის საპასუხოდ, ICRC-მა ცენტრალურ და დასავლეთ საქართველოს ორ საავადმყოფოს იარაღისგან დაშავებული პაციენტების მკურნალობაში დაეხმარა. ICRC-მა, ასევე, 2008 წლის კონფლიქტის ზონაში მდებარე ცხინვალის საავადმყოფოში მცირე აღდგენითი სამუშაოები ჩაატარა.<sup>100</sup>

რეაბილიტაციის, საპროთეზო და სხვა აუცილებელი სერვისები და მოწყობილობები, როგორც წესი, არასაკმარისია.<sup>101</sup> GEFPOR ნაღმისგან დაშავებულებს უზრუნველყოფს სხვადასხვა მომსახურებით, მათ შორის, უფასო პროთეზებით. იზოლირებულ ტერიტორიების მოსახლეობა იხდის ტრანსპორტის გადასახადს და მათთვის შეზღუდულია ცენტრში აკომოდაცია. GEFPOR-ს ჰყავს მხოლოდ ისეთი სპეციალისტები, რომლებიც მოამზადა II კატეგორიის პროთეზირებისა და ბიოპროთეზირების საერთაშორისო საზოგადოებამ; მათგან ერთ-ერთი ნაღმისგან დაშავებულია. მიმდინარე ფინანსური სიძნელეებისა და დაგვიანებული სამთავრობო დაფინანსების გამო, 2009 წლის მაისში 130-მდე ადამიანი ელოდებოდა სხვადასხვა მოწყობილობას. გასულ კონფლიქტთან დაკავშირებით არ აღნიშნულა იმ ბენეფიციართა რიცხვის ზრდა, რომლებსაც ესაჭიროებათ პროთეზი. GEFPOR მოწყობილობებს აწარმოებს ICRC-ის ტექნოლოგიით, მათი მდგრადობის გამო. ამასთან ერთად, ხარჯების ნაწილის ასანაზღაურებლად, ყიდის „Otto Bock“-ის ბრენდის პროთეზებს. 2008 წელს ტექნიკოსებმა ტრენინგები გაიარეს ICRC-ის კომპანია „Otto Bock“-ში.<sup>102</sup> ICRC განაგრძობს GEFPOR-ის ხარჯების დაახლოებით ერთი მესამედისა და რუსეთის ვლადიკავკაზის ორთოპედიული მკურნალობის ხარჯების დაფარვას. იგი, ასევე, უზრუნველყოფს ფიზიოთერაპევტების ფსიქოლოგიურ დახმარებას.<sup>103</sup>

<sup>99</sup> მსოფლიო ბანკი, “Project Paper Georgia-Primary Health Care Development Project: Restructuring” (“საქართველოს პროექტის დოკუმენტი – ჯანდაცვის განვითარების პირველადი პროექტი: რესტრუქტურისაცია”), 5 მარტი, 2009, [www-wds.worldbank.org](http://www-wds.worldbank.org); და მსოფლიო ბანკი, “Data Sheet Template for Project Paper Georgia: Primary Health Care Development Project (Credit No.3702)” (“მონაცემთა ცხრილის მაგალითი საქართველოს პროექტის დოკუმენტისთვის: ჯანდაცვის განვითარების პირველადი პროექტი (კრედიტი No.3702)”), 5 მარტი, 2009, [www-wds.worldbank.org](http://www-wds.worldbank.org).

<sup>100</sup> ICRC, “Annual Report 2008” (“ყოველწლიური მოხსენება”), ქენევა, 27 მაისი, 2009, გვ. 256.

<sup>101</sup> საქართველოს პარლამენტი, “Concept Paper on Social Integration of the People with Disabilities” (“პარლამენტში ერთხმად გასული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფციის დოკუმენტი”), გვ. 3, [www.parliament.ge](http://www.parliament.ge).

<sup>102</sup> ინტერვიუ მარიკა კალმახელიძესთან, GEFPO, თბილისი, 30 აპრილი, 2009.

<sup>103</sup> ICRC, “Physical Rehabilitation Programme: Annual Report 2008” (“ყოველწლიური მოხსენება”), ქენევა, 27 მაისი, 2009, გვ. 53

ფსიქოლოგიურ მხარდაჭერასა და სოციალურ რეინტეგრაციაში აღინიშნება სპეციალიზირებული პერსონალის, მათ შორის, სოციალური მუშაკების, ოკუპაციური თერაპევტებისა და ფსიქოლოგიური დახმარების მუშაკების თვალსაჩინო დეფიციტი. მცირეა ინკლუზიური განათლება, შემდგომი განათლება და პროფესიული ტრენინგები. საქართველოში აღინიშნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მუშაობაში გამოცდილი პედაგოგების დეფიციტი და არც რაიმე სპეციალური ტრენინგია ხელმისაწვდომი.<sup>104</sup>

ინვალიდთა სოციალური დაცვის კანონი არ იყო სრულად დანერგილი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები განიცდიდნენ დისკრიმინაციას დასაქმების, განათლების და სერვისების სფეროებში.<sup>105</sup> შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მობილურობა და სოციალური ჩართულობა არაადეკვატური იყო.<sup>106</sup> შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უმეტესობა, მათ შორის, ამპუტირებულები და ნაღმით დაზარალებულები, იშვიათად ტოვებენ თავიანთ საცხოვრებელს.<sup>107</sup>

2009 წლის მაისში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უმასპინძლა ICRC–ისა და ITF –ის მიერ ორგანიზებულ სამდღიან რეგიონალურ სიმპოზიუმს ნაღმების მოქმედებისგან დაშავებული და სხვა ინვალიდი პირების რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის საკითხებში. მონაწილეობას იღებდა აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი და ტაჯიკეთი, ასევე, ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა და სლოვენია. სიმპოზიუმის ერთ–ერთი მიზანი საქართველოში მსხვერპლთა დახმარების სრულყოფილი ეროვნული პროგრამის შემუშავებაზე დისკუსიების დაწყება იყო. ITF–მა დაგეგმა ნაღმისგან დაშავებულთა სოციალურ–ეკონომიკური რეინტეგრაციის პროგრამის წამოწყება 2009 წლის ბოლოს.<sup>108</sup>

### **დაზარალებულთა დახმარებისთვის განხორციელებული ქმედებები**

<sup>104</sup> საქართველოს პარლამენტი, “Concept Paper on Social Integration of the People with Disabilities“ (“პარლამენტში ერთხმად გასული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფციის დოკუმენტი”), გვ. 3, [www.parliament.ge](http://www.parliament.ge).

<sup>105</sup> აშშ–ს სახელმწიფო დეპარტამენტი, “2008 Country Reports on Human Rights Practices: Georgia“ (“2008 წლის ქვეყნის მოხსენება ადამიანის უფლებათა დაცვის რეგულირება: საქართველო”), ვაშინგტონი, 25 თებერვალი, 2009.

<sup>106</sup> საქართველოს პარლამენტი, “Concept Paper on Social Integration of the People with Disabilities“ (“პარლამენტში ერთხმად გასული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფციის დოკუმენტი”), გვ. 3, [www.parliament.ge](http://www.parliament.ge).

<sup>107</sup> ინტერვიუ მარიკა კალმახელიძესთან, GEFPOR, თბილისი, 30 აპრილი, 2009.

<sup>108</sup> ლუკა ბუჭინის ელ გზავნილი, პროექტის მენეჯერი, ITF, 4 სექტემბერი, 2009.



არასამთავრობო ორგანიზაცია "ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედების ასოციაცია" (Association of Disabled Women and Mothers of Disabled Children, ADW) 2008 წელს ეხმარებოდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს და მათ ოჯახებს, მათ შორის, ნაღმისა და ომის ფეთქებადი ნარჩენების მოქმედების შედეგად დაზარალებულებს ზუგდიდის რეგიონში. 2008 წელს ADW-მ სასკოლო წიგნები მიაწოდა 6 ბავშვს, მათ შორის იყო: ორი დაზარალებული და ორი დაზარალებულის ოჯახის წევრი; ინვალიდის ეტლი – ნაღმისგან ორ დაშავებულს, და დაეხმარა ნაღმისგან დაშავებულის ინვალიდ ბავშვს სკოლამდელი განათლების მიღებაში. შვეიცარიულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან "ჟენევის მოთხოვნა" თანამშრომლობით, ADW-მ გადაწყვიტა, 2008 წლის ივნისში საქართველოს ზუგდიდისა და ცხინვალის რეგიონებში ჩაეტარებინა ნაღმებისგან დაზარალებულთა სოციალურ-ეკონომიკური საჭიროების შეფასება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლობით, ADW-მ ნაღმის მოქმედების შედეგად დაშავებულ ერთ პირს დაეხმარა კოლეჯში სწავლის გაგრძელებაში.<sup>109</sup>

GEFPOR-მ განაცხადა, რომ 2008 წელს ნაღმების და ომის ფეთქებადი ნარჩენებისგან დაშავებულ 23 ამპუტირებულს გაუწია მომსახურება, სულ მცირე, 16 პირმა მიიღო პროთეზი.<sup>110</sup>

2008 წელს ICBL-GC-მა ჩაატარა პროფესიული ტრენინგის პროგრამა, რომელიც ნაღმის და ომის ფეთქებადი ნარჩენების მოქმედებისგან დაზარალებულ და სხვა ოცამდე ინვალიდ პირს აძლევდა მცირე ბიზნესის შესაძლებლობას; პროექტის დაფინანსების ნაწილი გადავიდა 2009 წელს ახალი ბენეფიციარებისთვის შესაძლებლობების შესაქმნელად.<sup>111</sup>

### **განაღმვის მხარდაჭერა**

ლენდმაინ მონიტორისთვის უცნობია საქართველოში გაწმენდის, რისკის შესახებ განათლების ან მსხვერპლთა დახმარების ხარჯების ზუსტი მონაცემები. ხარჯების ზუსტი მონაცემები არ განუცხადებია არც სამხრეთ ოსეთს.

2008 წლის აგვისტოს კონფლიქტით გამოწვეული ომის ფეთქებადი და კასეტური იარაღის ნარჩენებით დაბინძურების გამო, გაეროს ჰუმანიტარულ საკითხთა კოორდინაციის ოფისმა (UN Office for the Coordination of Humanitarian Affairs, OCHA) საქართველოსთვის ჰუმანიტარული დახმარების 2008 წლის

<sup>109</sup> მადონა ხარებავას ელ გზავნილი, თავჯდომარე, ADW, 18 მარტი, 2009; და ნიკოლას ფლორქინის ელ გზავნილი, ჟენევის მოთხოვნა, 4 სექტემბერი, 2009.

<sup>110</sup> მარიკა კალმახელიძის ელ გზავნილი, GEFPOR, 23 მარტი, 2009; და დიდერ რეკის მონაცემები, ფიზიკური რეაბილიტაციის რეგიონალური თავჯდომარე, ICRC, 28 აპრილი, 2009.

<sup>111</sup> ინტერვიუ მაია ბუხუკურთან, კოორდინატორი, ICBL-GC, 3 მაისი, 2009.

აგვისტოს სწრაფ შენატანში ჩაურთო განაღმვის კომპონენტი. განაღმვისთვის საჭირო ფონდები მოიცავდნენ: გაეროს განაღმვის სერვისის მიერ საგანგებო განაღმვის კოორდინაციისთვის – \$125,000 და UNICEF-ის მიერ რისკის შესახებ განათლებისთვის – \$350,000. ჰუმანიტარული სიტუაციის გადახედვის შემდეგ, OCHA-მა 2008 წლის ოქტომბერში გამოსცა შესწორებული შენატანი, სადაც მხოლოდ რისკის შესახებ განათლებისთვის გამოყოფილი თანხა – \$350,000 იყო, რომელსაც უკვე აჭარბებდა კონტრიბუციები და ვალდებულებები - სულ \$394,926 ოდენობით.<sup>112</sup> OCHA-მა განაცხადა, რომ რაიმე დამატებითი ან განცალკევებული დაფინანსება არ იყო საჭირო განაღმვის სექტორისთვის, რადგან საქართველოში HALO-ს ოპერაციების ხარჯები სრულად დაიფარა შესწორებული შენატანით მოცულ პერიოდში.<sup>113</sup>

#### *განაღმვის ეროვნული მხარდაჭერა*

საქართველოს არ განუცხადებია 2008 წელს განაღმვაში შეტანილ წვლილზე. არ გამოქვეყნებულა რაიმე ეროვნული დაფინანსება.

#### *საერთაშორისო თანამონაწილეობა და დახმარება*

რვა ქვეყანამ და ევროკომისიამ (European Commission, EC) განაცხადა \$8,705,885 (€911,914) თანხის გამოყოფის გადაწყვეტილება საქართველოში განაღმვის ჩასატარებლად. არ გამოქვეყნებულა 2007 წლის რაიმე საერთაშორისო დაფინანსება.

2008 წლის ოქტომბერში ITF-მა და საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დადეს ორწლიანი MoU საქართველოს მიერ განაღმვის უნარების განვითარების მხარდასაჭერად, რომელიც დაიწყო 2009 წლის იანვარში. შეთანხმება მოიცავს მართვას, ხარისხის უზრუნველყოფას, შეფასებას, სამოქმედო პროცედურებსა და დაზარალებულთა დახმარებას და შეიძლება მოიცვას განაღმვასთან დაკავშირებული სხვა აქტივობა. ITF-მა ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი და სლოვაკეთი დაასახელა, როგორც პროექტის თანამონაწილეები. 2008 წელს ITF რეაბილიტაციის ქართველ სპეციალისტებს უტარებდა ტრენინგს, რომლის ერთადერთ დონორი სლოვაკეთი იყო.<sup>114</sup>

#### **2008 წლის საერთაშორისო დაფინანსება საქართველოში: ფულადი<sup>115</sup>**

<sup>112</sup> გაერო OCHA, “Georgia Crisis Flash Appeal: Revised“ (“საქართველოს კრიზისის სწრაფი შენატანი: შესწორებული”), ოქტომბერი, 2008, გვ. 52.

<sup>113</sup> აქვე, გვ. 18.

<sup>114</sup> ITF, “Annual Report 2008“ (“ყოველწლიური მოხსენება”), გვ. 63.

<sup>115</sup> ვილიამ შლოზბერგის ელ გზავნილი, იარაღის განადგურებისა და შემცირების ოფისი, აშშ-ს სამთავრობო დეპარტამენტი, 29 ივნისი, 2009; კიმ ჰენრი-ლაფონტინი, მეორე მდივანი, საგარეო ურთიერთობები და საერთაშორისო ვაჭრობა, კანადა, 6 ივნისი, 2009 და 19 ივნისი, 2009; მარი კრუზ კრისტობალი, პოლიტიკური მრჩეველი, საგარეო ურთიერთობების გენერალური დირექტორი, 28 მაისი, 2009; დანიელა კრიჯდლი, ჰუმანიტარული დახმარება,

დონორი	ჩართული სააგენტოები/ორგანიზაციები	პროექტის დეტალები	ოდენობა
აშშ	HALO, საქართველოს მთავრობა	დაუყოვნებელი კვლევა და პასუხი, განაღმვის კოორდინაცია	\$5,200,000
კანადა	iMMAP	უნარების შეძენა, კასეტური იარაღისა და ომის ფეთქებადი ნარჩენებისგან გაწმენდა.	\$906,842 (C\$966,679)
ევროკომისია	HALO	კასეტური იარაღის/ომის ფეთქებადი ნარჩენებისგან გაწმენდა	\$736,300 (€500,000)
ავსტრია	UNICEF	ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და რისკის შესახებ განათლება	\$515,410 (€350,000)
ნორვეგია	NPA	კასეტური იარაღის/ომის ფეთქებადი ნარჩენებისგან გაწმენდა	\$443,249 (NOK2,498,587)
დიდი ბრიტანეთი	HALO	კასეტური იარაღის/ომის ფეთქებადი ნარჩენებისგან გაწმენდა	\$370,900 (€200,000)
გერმანია	HALO	განუსაზღვრელი	\$294,520 (€200,000)
ჩეხეთის რესპუბლიკა	ITF	განუსაზღვრელი	\$227,272
სლოვაკეთი	ITF	სარეაბილიტაციო წვრთნა	\$11,392 (€7,736)
<b>სულ</b>			<b>\$8,705,885 (€5,911,914)</b>

განაღმვის ეროვნული ინიციატივებში 2008 წელს გაკეთებული სპეციალური ფულადი შენატანების გარდა, ევროკომისიამ 2009 წლის მაისში გამოაცხადა, რიგი ქვეყნების 2008 წლის განაღმვის პროგრამებისთვის საერთოდ გამოეყოფათ €9 მილიონი (\$57,431,400). საქართველო დასახელდა რეციპიენტ სახელმწიფოთა შორის.

საგარეო საქმეთა სამინისტრო, 3 მარტი, 2009; ინგუნ ვატნი, მთავარი მრჩეველი, საგარეო საქმეთა სამინისტრო, 4 ივნისი, 2009; ემი ვაითი, პროგრამის მენეჯერის მოადგილე, დიდი ბრიტანეთის შიდა განვითარების დეპარტამენტი, 17 მარტი, 2009; გრეგორ კაპლანი, უსაფრთხოების პოლიტიკის განყოფილება, 19 ივნისი, 2009; და მეთიუ ჰოველი, HALO, 6 სექტემბერი, 2009. გერმანიის პუნქტი 7 მოხსენება, ფორმა J, შეტანილია 27 აპრილს, 2009; და ჩეხეთის რესპუბლიკის 2008), პუნქტი 7 მოხსენება (2008 კალენდარული წლისთვის), ფორმა J, აშშ-მს საერთო დახმარების \$5.2 მილიონიდან \$1.17 მილიონი გამოჰყო აფხაზეთის განაღმვაზე.